

შპს “თი-აი-დი ფუდს“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	3-4
საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-11

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021-2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-12-23	31-12-22	31-12-21
აქტვები				
ფულად ფულს ეკვივალენტები	4	173,312	102,362	717,433
სავაჭრომოთხოვნები		407,408	420,082	389,962
გადხდოლავანსები		-	-	-
მარგები		1,772,113	1,593,885	914,874
მზპროდუქცია		-	-	-
სხვა		1,772,113	1,593,885	914,874
საინვესტიციოქონება		-	-	-
სხვა მიმდნარე აქტვები		325	13,718	16
ბიოლოგიური აქტვები		-	-	-
თვითღირებულების მოფლოთ		-	-	-
გადფსების მოფლოთ		-	-	-
გუფილო		-	-	-
სხვა არმატურიალორი აქტვები		9,314	9,314	9,314
ძირითად საშუალებები		784,510	183,397	264,402
ინვესტიციები შვილზილომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილზროვ		-	-	-
ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადანი აქტვები		-	-	-
სულაქტვები		3,146,982	2,322,758	2,296,001

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება

- - -

სავაჭროვალდებულებები

2,116,345 1,501,711 2,104,656

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

- - -

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

- 35,131 30,060

საგადასახად ვალდებულებები

16,161 - 18,105

გამოყენებულ შემოსავალ

- - -

მიმდინარე სასესხოვალდებულებები

933,998 418,043 38,013

გრძელადანი სასესხოვალდებულებები

- - -

მიღებული გრანტები

- - -

სხვა ვალდებულებები

16,871 10,066 2,487

სულ ვალდებულებები

3,083,375 1,964,951 2,193,321

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში
'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში
'საპაიოკაპიტალი')

5

- - -

საემისიო შემოსავალი

- - -

გამოსყიდულ საკუთარი აქციები

- - -

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

63,607 357,807 102,680

გადაფსების რეზერვი

- - -

სხვა რეზერვები

- - -

სულ საკუთარი კაპიტალი

63,607 357,807 102,680

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

3,146,982 2,322,758 2,296,001

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2022-2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2023 წელ	2022 წელ
ნეტამონაგები		3,727,628	7,422,310
საქონლს გაყიდვიდან		3,719,361	7,419,744
მომსახურების გაწევიდან		-	-
სამშენებლო ხელშეკრულებიდან		-	-
სხვა		8,267	2,566
რეალური პროდუქციის თვითღირებულება		(2,109,261)	(5,521,251)
საერთომოგება		1,618,367	1,901,060
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(603,320)	(565,853)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(88,720)	(107,964)
საპროცენტო შემოსავალი		13	378
საპროცენტო ხარჯი (-)		(76,620)	(2,766)
ოჯროს ხარჯი (-)		(19,375)	(18,254)
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	3	(392,184)	(354,784)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,180,207)	(1,049,243)
საოპერაციო მოგება		438,160	851,817
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები (-)		-	-
მარგები (-)		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-	-
წმინდა შემოსულობა / (დნაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(4,178)	(536,659)
მიღებულ დივიდენდები		-	-
სხვა წმინდა არსაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(19,659)	34,707
მოგება/(ზრდა) მოგების გადსახადს ხარჯმდგომარეობით		414,323	349,864
ოპერაციებიდან			
მოგების გადსახადი (-)		-	-
მოგება/(ზრდა)		414,323	349,864

სხვა სრულ შემოსავალ / (ზარალ):

ძირითად საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადფასების რეზერვი

- -

სხვა (მათ შორის წილ ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადფასების რეზერვი და დფენილგადსახელდანი პროგრამები)

- -

სხვა სრულ შემოსავალ / (ზარალ), სულ

- -

მიღიანი სრულ შემოსავალ/ (ზარალ)

414,323 349,864

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)

357,807 102,680

ახალ აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოპერატორის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალის გაზრდა')

- -

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

(105,265) (94,737)

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

(603,259) -

კაპიტალის სხვა ცვლილებები

- -

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

63,607 357,807

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022-2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023 წელ	2022 წელ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	25,784	(445,533)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(567,527)	(12,909)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	616,871	380,030
წმინდა ზრდა (კლება) ფულა და ფულის ეკვივალენტებში	75,128	(78,412)
სავალუტო კურსის ეფექტი	(4,178)	(536,659)
ფულ და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	102,362	717,433
ფულ და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	173,312	102,362

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თი-აი-დი ფუდს“ (ს/ნ 400093974) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2013 წლის 03 ივლისს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი, „პატარა ვაკე“. შპს „თი-აი-დი ფუდს“-ს მესაკუთრე არის: 1) თემურ ამბროსიძე (პ/ნ 01003001508) - 100%; კომპანიის დირექტორი არის თემურ ამბროსიძე (პ/ნ 01003001508). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საბითუმო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო საქონლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს

იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023 წელს	2022 წელს
საწვავის ხარჯი	-	11,676
საოფისე ინვენტარის ხარჯი	189	-
კომუნიკაციის ხარჯი	8,176	10,689
დოკუმენტაციის ხარჯი	23,080	13,104
ძირითად საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	165,970	71,165
საკონსულტაციო ხარჯი	1,271	496
მივლენების ხარჯი	3,164	-
ბანკის მომსახურების ხარჯი	8,287	36,258
საპენსიონატის ხარჯი	11,674	10,861
სარეკლამო ხარჯი	7,122	845
საქველმოქმედო ხარჯები	-	-
კომპიუტერული აქსესუარების ხარჯი	1,148	2,281
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	124,051	93,894
საგადასახადო ხარჯი	4,656	-
წარმადგენლობითი ხარჯი	2,289	-
სხვა ხარჯი	31,107	103,516
	392,184	354,784

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2023 წელს	2022 წელს	2021 წელს
ნაღდ ფული ეროვნულ ვალუტაში	13,465	39,170	14,432
ნაღდ ფული უცხოურ ვალუტაში	-	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტებთან	51,615	53,378	81,091
უცხოური ვალუტა რეზიდენტებთან	108,231	9,813	621,910
	173,312	102,362	717,433

5. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 0 ლარს.

6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 სექტემბერს.

შპს „თი-აი-დი ფუდს“-ს

დირექტორი: თემურ ამბროსიძე /

5. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 0 ლარს.

6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 სექტემბერს.



შპს „თი-აი-დი ფუდს“-ს

დირექტორი: თემურ ამბროსიძე /